საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000047563110922

№ 01-109-R **18 / მარტი / 2022 წ.**

ბრძანება

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 22-ე მუხლის, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 იანვრის №04/2022 დადგენილების „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2021-2022 სასწავლო წლის საკვალიფიკაციო და 2022-2023 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების ვადების დამტკიცების შესახებ“, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 28 მაისის № 64/2021 და 2022 წლის 18 მარტის № 11/2022 დადგენილებებით დამტკიცებული „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესის“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის და კონსერვატორიის „მისაღებ გამოცდებზე აპლიკანტთა რეგისტრაციის, შემოქმედებითი ტურების ჩატარების, ჩარიცხვისა და სხვა საორგანიზაციო საკითხების უზრუნველსაყოფად საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ“ რექტორის 2022 წლის 17 მარტის №01-106-R ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიღება გამოცხადდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე: **„საშემსრულებლო ხელოვნება“** (კლავიშიანი საკრავები, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, სოლო აკადემიური სიმღერა, საორკესტრო სიმებიანი /ვიოლინო, ალტი, ჩელო/ და ჩასაბერი /ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი/ საკრავები);
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა მისაღები გამოცდებისთვის (შემოქმედებითი ტურებისთვის) განისაზღვროს **რეგისტრაციის** ვადები: დოკუმენტების გამოგზავნა ელ.ფოსტაზე registration@tsc.edu.ge 2022 წლის **21 მარტიდან 21 აპრილის** ჩათვლით;
3. მაგისტრანტობის კანდიდატებს დასარეგისტრირებლად განესაზღვროთ შემდეგი **დოკუმენტაცია:**

- შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციის შევსებული ფორმა,
- საგამოცდო პროგრამა ინგლისურ ენაზე,
- პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი,
- ერთი ფოტოსურათი ელექტრონული სახით (3X4, JPG),
- გამოცდების საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრის ასლი;

4. შემოქმედებითი ტურების ჩატარების პერიოდი განისაზღვროს **2022 წლის 13 ივნისიდან 25 ივნისის** ჩათვლით (კორონავირუსის გამო გადატანის შემთხვევაში არაუგვიანეს 02 ივლისი);
5. შემოქმედებითი ტურების **სრული განრიგი** გამოცხადდეს არაუგვიანეს 10 ივნისისა;
6. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს მისაღები გამოცდების საკოორდინაციო ჯგუფის წევრებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე